არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაცია

წესდება

თბილისი

2018 წ.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

1.1. „ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაცია“ (შემდგომში **„ასოციაცია”**) წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ გაერთიანებას (არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს), რომელიც შექმნილია და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის ნორმების, საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

1.2. „ასოციაციის“ სრული სახელწოდებაა:

1.2.1. ქართულად: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაცია“

1.2.2. ინგლისურად: Non-entrepreneurial (Non-commercial) Legal Entity „Business Rehabilitation and Insolvency Practitioners Association”

1.3. „ასოციაციის“ შემოკლებული სახელწოდებაა:

1.3.1. ქართულად: ააიპ „ბრგპა“;

1.3.2. ინგლისურად: NNLE BRIPA.

1.4. „ასოციაციის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ლისი, ნაკვეთი 149, ბ. #2.

1.5. „ასოციაციის“ ელექტრონული ფოსტის მისამართია: nana.amisulashvili@gmail.com

მუხლი 2. სამართლებრივი მდგომარეობა, სტატუსი

2.1. „ასოციაცია“ არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. იურიდიული პირის უფლებებს „ასოციაცია“ იძენს დადგენილი წესით რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

2.2. „ასოციაციას“ შეიძლება ჰქონდეს აბეჭედი და ბლანკი, რომელიც შეიცავს მის სრულ სახელწოდებას. „ასოციაციას“ ასევე შეუძლია ჰქონდეს საკუთარი ემბლემა და სიმბოლიკა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი და ვიზუალური იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები.

2.3. წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე, „ასოციაცია“ მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

2.4. წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად „ასოციაცია“ უფლებამოსილია, გაწევრიანდეს სხვადასხვა საერთაშორისო/ადგილობრივ გაერთიანებებში ან მიიღოს მონაწილეობა ასეთი გაერთიანებების შექმნაში.

2.5. „ასოციაცია“ საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს თავისი ქონებით. „ასოციაცია“ არ არის პასუხისმგებელი მისი წევრების ან/და ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლების მქონე პირების ვალდებულებებისათვის.

2.6. „ასოციაცია“ უფლებამოსილია დააფუძნოს ფილიალები/წარმომადგენლობები საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

თავი II. მიზნები და საქმიანობა

მუხლი 3. მიზნები

3.1. „ასოციაციის“ ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

3.1.1. საქართველოში მიმდინარე გადახდისუუნარობის რეფორმის ხელშეწყობა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა პროფესიის გაძლიერებით, საკანონმდებლო ინიციატივებითა და სხვა რეფორმის სრულყოფასთან დაკავშირებული აქტივობებით;

3.1.2. საერთაშორისო ასოციაციებთან და ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება საუკეთესო პრაქტიკისა და სტანდარტების შესწავლისა და დანერგვის მიზნით;

3.1.3. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ფუნქციებთან, უფლებამოსილებასთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პრაქტიკის მაღალი სტანდარტის განვითარება და შენარჩუნება;

3.1.4. გადახდისუუნარობის დროს მმართველობასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე შეხედულებებისა და მოსაზრებების გაცვლის და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა;

3.1.5. გადახდისუუნარობის დროს მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე კვლევებისა და აკადემიური მუშაობისათვის ხელშეწყობა;

3.1.6. გადახდისუუნარობის სამართლის განვითარების მიზნით საკანონმდებლო მუშაობაში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის რეკომენდაციების მიწოდება და დახმარების გაწევა;

3.1.7. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა განათლება თეორიისა და პრაქტიკის სხვადასხვა ასპექტებში;

3.1.8. ტრენინგებისა და განათლების უზრუნველყოფა გადახდისუუნარობის სფეროში ჩართვის მსურველებისათვის;

3.1.9. სასწავლო კურსების შემუშავება და დანერგვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

3.1.10. ბიბლიოთეკის შექმნა;

3.1.11. ონლაინ ბიბლიოთეკებთან წვდომა.

მუხლი 4. საქმიანობა

4.1. წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად „ასოციაცია“ ეწევა შემდეგ საქმიანობას:

4.1.1. ურთიერთობს სახელმწიფო ორგანოებთან, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან „ასოციაციის“ მიზნების განხორციელებისათვის;

4.1.2. ამზადებს და წარუდგენს წინადადებებს საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე სახელმწიფო ორგანოებს, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს;

4.1.3. შეიმუშავებს სამოქმედო გეგმებს;

4.1.4. იკვლევს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას გადახდისუუნარობის რეგულირების სფეროში და დასკვნის სახით წარუდგენს სახელმწიფო ორგანოებს, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს;

4.1.5. ამზადებს და დანიშნულებისამებრ წარადგენს დასკვნებს ინიცირებულ კანონპროექტებთან დაკავშირებით;

4.1.6. შეიმუშავებს სხვადასხვა სახის პროგრამებს და ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს, პრეზენტაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს „ასოციაციის“ მიზნების განხორციელებას, მათ შორის საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას გადახდისუუნარობის მმართველებთან და, ზოგადად, გადახდისუუნარობის სამართალთან დაკავშირებით;

4.1.7. „ასოციაციას“ უფლება აქვს განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც შეიძლება ატარებდეს მხოლოდ დამხმარე ხასიათს და ემსახურებოდეს მისი წესდებით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას.

თავი III. წევრობა

მუხლი 5. დამფუძნებელი წევრები

5.1. „ასოციაციის“ დამფუძნებელი წევრები არიან:

ირაკლი გაფრინდაშვილი (პირადი #0101704587);

გიორგი ბათლიძე (პირადი #01010007312);

ნოდარ პაპუკაშვილი (პირადი #01009013083);

ქეთევან ბუაძე (პირადი #01024051127);

გიორგი ზედელაშვილი (პირადი #010227005212);

აკაკი ჩარგეიშვილი (პირადი #62001001781);

აკაკი გაწერელია (პირადი #01009008900);

ლაშა ნოდია (პირადი #19001001627);

თამთა ივანიშვილი (პირადი #01027029839);

ნანა მჟავანაძე (პირადი #01008016188)

ქეთევან ბაშინურიძე (პირადი #01019006553);

თინათინ შუღაროვა (პირადი#01031003634);

ნანა ამისულაშვილი (პირადი #13001006578);

თორნიკე ართქმელაძე (პირადი #37001055059);

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია (ს/კ 405032343);

მუხლი 6. წევრები, წევრად მიღება

11.1. წინამდებარე წესდებით განსაზღვრულია „ასოციაციის“ წევრის სამი კატეგორია:

11.1.1. სრული (ხმის უფლების მქონე) წევრი

11.1.2. ასოცირებული წევრი

11.1.3. საპატიო წევრი

11.2. ხმის უფლების მქონე წევრებს აქვთ „ასოციაციის“ მართვისათვის კანდიდატების წარდგენის, „ასოციაციის“ საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისა და ხმის უფლება. ასოცირებული და საპატიო წევრები, ხმის უფლების გარეშე, მონაწილეობას იღებენ „ასოციაციის“ საერთო კრებაზე (შემდეგში **„საერთო კრება”**) და „ასოციაციის“ მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა პროგრამებსა და მსგავსი ტიპის ღონისძიებებში. ასოცირებული და საპატიო წევრები ასევე უფლებამოსილნი არიან წარადგინონ ინიციატივები „ასოციაციის“ საქმიანობასთან დაკავშირებით, რაზეც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენ ხმის უფლების მქონე წევრები ან/და „ასოციაციის“ გამგეობა (შემდგომში **„გამგეობა”**).

11.3. „ასოციაციის“ სრული (ხმის უფლების) მქონე წევრი:

11.3.1. შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

11.3.2. უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ წინაპირობებს:

11.3.2.1. მინიჭებული აქვს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის მუდმივი ავტორიზაცია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

11.3.2.2. აქვს პროფესიული დაზღვევა

11.3.2.2.1. ხმის უფლების მქონე წევრობის მსურველმა ფიზიკურმა პირმა (შემდგომში - **„კანდიდატი“**) წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით, გაწევრიანების მოთხოვნით მიმართა „ასოციაციას“;

11.4. წევრობის მსურველი პირი მიმართავს წერილობითი განცხადებით „ასოციაციაში“ გაწევრიანების თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტები:

11.4.1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის დამოწმებული ასლი;

11.4.2. ინფორმაცია „კანდიდატის“ ადგილსამყოფელის/იურიდიული მისამართის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა);

11.4.3. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

11.4.4. პროფესიული დაზღვევის პოლისი

11.4.5. განაცხადი, რომლითაც წევრობის მსურველი სავალდებულო წესით აღიარებს „ასოციაციის“ წესდების, ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური წარმოების დებულებებს.

11.5. გაწევრიანების შესახებ „კანდიდატის“ განცხადების საფუძველზე „ასოციაციაში“ გაწევრიანების ან გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღება „გამგეობის“ წევრთა ნახევარზე მეტი ხმით, რის თაობაზეც ეცნობება განმცხადებელს; „კანდიდატი“ „ასოციაციის“ ხმის უფლების მქონე წევრის სტატუსს იძენს „გამგეობის“ მიერ მისი გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

11.6. „ასოციაციის“ ასოცირებული წევრი:

11.6.1. შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ წინაპირობებს:

11.6.1.1. იზიარებს „ასოციაციის“ მიზნებსა და იცავს წინამდებარე წესდების, „ასოციაციის“ მიერ მიღებული აქტების მოთხოვნებს;

11.6.1.2. დაინტერესებულია გადახდისუუნარობის სამართლის პრაქტიკისა და რეფორმის განვითარებით;

11.6.1.3. „გამგეობას“ მიმართავს წერილობითი განცხადებით „ასოციაციაში“ გაწევრიანების თაობაზე.

11.6.1.4. „ასოციაციაში“ გაწევრიანების თაობაზე განცხადებას თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტები:

11.6.1.4.1. ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის დამადასტურებელი მოწმობის დამოწმებული ასლი;

11.6.1.4.2. იურიდიული პირის შემთხვევაში:

11.6.1.4.2.1. „ასოცირებულიწევრობის მსურველის“ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

11.6.1.4.2.2. „ასოცირებულიწევრობის მსურველის“ წესდება (მოქმედი რედაქციით);

11.6.1.4.2.3. „ასოცირებულიწევრობის მსურველის“ უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილება „ასოციაციაში“ გაწევრიანების თაობაზე;

11.6.1.4.2.4. „ასოცირებულიწევრობის მსურველის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

11.6.1.4.2.5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი იმ პირის, რომელიც წარმოადგენს „ასოცირებულიწევრობის მსურველს“ (იმ შემთხვევაში, თუკი მიმართვას წარადგენს მინდობილი პირი) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული წერილობითი მინდობილობის საფუძველზე;

11.6.1.4.2.6. წინამდებარე წესდების 6.6.1.4.2.5. პუნქტით გათვალისწინებული მინდობილობა, ამავე პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას;

11.6.1.4.2.7. „ასოცირებულიწევრობის მსურველის“ პროფილი, ხელმოწერილი წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- „კანდიდატის“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებების აღწერას;
- ინფორმაციას „კანდიდატის“ ადგილსამყოფელის/იურიდიული მისამართის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა) და ვებ-გვერდის მისამართს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

11.6.1.4.3. იმ გარემოებების/პირობების ჩამონათვალი, რატომაც „ასოცირებულიწევრობის მსურველი“ თვლის, რომ მისი „ასოციაციაში“ გაწევრიანების შემთხვევაში ხელი შეეწყობა „ასოციაციის“ მიზნების განხორციელებას;

11.6.1.5. გაწევრიანების შესახებ „ასოცირებულიწევრობის მსურველის“ განცხადების საფუძველზე „ასოციაციაში“ გაწევრიანების ან გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება „გამგეობის“ მიერ უბრალო უმრავლესობით, რის თაობაზეც ეცნობება განმცხადებელს;

11.6.1.6. „ასოცირებულიწევრობის მსურველი“ „ასოციაციის“ მრჩეველი წევრის სტატუსს იძენს „გამგეობის“ მიერ მისი გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

11.6.1.7. ასოცირებული წევრი იხდის სრული წევრებისთვის დაწესებული საწევრო გადასახადის ნახევარს.

11.7. „ასოციაციის“ საპატიო წევრი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული გამოცდილება და მაღალი რეპუტაცია საზოგადოებაში, შეტანილი აქვს ღვაწლი გადახდისუუნარობის სამართლის და პრაქტიკის, აგრეთვე სხვა დაკავშირებული პროფესიების განვითარებაში და დაინტერესებულია „ასოციაციასთან“ თანამშრომლობით. საპატიო წევრი აირჩევა წარდგინების საფუძველზე „გამგეობის“ მიერ და საჭიროებს „გამგეობის“ ყველა წევრის თანხმობას. „საპატიო წევრად“ არჩევის თაობაზე ეცნობება არჩეულ პირს და მისი თანხმობის შემთხვევაში იგი გაწევრიანდება „ასოციაციაში“ საპატიო წევრად.

საპატიო წევრის გათავისუფლებული საწევრო გადასახადისგან, თუმცა უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს საქველმოქმედო შემოწირულობა, „ასოციაციის“ დახმარების მიზნით.

მუხლი 7. წევრების უფლება-მოვალეობები

12.1. „ასოციაციის“ სრულ (ხმის უფლების) მქონე წევრს უფლება აქვს:

12.1.1. წარადგინოს „გამგეობის“ წევრობის კანდიდატები;
12.1.2. წარადგინოს „ასოციაციის“ თავმჯდომარეობის (შემდგომში - **„თავმჯდომარე“**)კანდიდატები;
12.1.3. არჩეულ იქნას „გამგეობის“ წევრად;
12.1.4. არჩეულ იქნას „ასოციაციის“ „ეთიკის კომისიის“ წევრად;
12.1.5. სრულად ჩაერთოს „ასოციაციის“ მიმდინარე ღონისძიებებში და პროექტებში;
12.1.6. მონაწილეობა მიიღოს „საერთო კრებაში“ ხმის უფლებით;
12.1.7. გადასცეს „ასოციაციაში“ საკუთარი უფლება-მოვალეობები სხვა პირს, რომელიც აკმაყოფილებს „ასოციაციის“ წესდების 6.3.2. პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს;
12.1.8. გაეცნოს „გამგეობის“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

12.2. ასოცირებულ წევრს უფლება აქვს:

12.2.1. მონაწილეობა მიიღოს „ასოციაციის“ მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში;
12.2.2. „ასოციაციის“ საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და ინიციატივების წარსადგენად მონაწილეობა მიიღოს „საერთო კრებაში“ ხმის უფლების გარეშე;
12.2.3. გაეცნოს „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

12.3. საპატიო წევრს უფლება აქვს:

12.3.1. მონაწილეობა მიიღოს „ასოციაციის“ მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში;
12.3.2. „გამგეობის“ წევრის მოწვევით დაესწროს „გამგეობის“ სხდომებს მრჩეველის სახით, ხმის უფლების გარეშე;
12.3.3. არჩეულ იქნას „ეთიკის კომისიის“ წევრად;
12.3.4. „ასოციაციის“ საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და ინიციატივების წარსადგენად მონაწილეობა მიიღოს „საერთო კრებაში“ ხმის უფლების გარეშე;
12.3.5. გაეცნოს „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

12.4. „ასოციაციის“ ყველა წევრი ვალდებულია:

12.4.1. დაიცვას „ასოციაციის“ წესდებისა და „ასოციაციის“ მიერ დამტკიცებული აქტების მოთხოვნები;
12.4.2. „ასოციაციის“ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებისას ხელი შეუწყოს „ასოციაციის“ მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას;
12.4.3. დაიცვას და გაუფრთხილდეს „ასოციაციის“ რეპუტაციას და ქონებას;
12.4.4. წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დადგენილი წესითა და ოდენობით გადაიხადოს საწევრო გადასახადი;
12.4.5. საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილება წარუდგინოს „გამგეობას“ შესაბამისი მონაცემის ცვლილებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კვირის ვადაში, ხოლო წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების შემთხვევაში - ცვლილების რეგისტრაციიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 8. წევრობის შეწყვეტა

13.1. „ასოციაციის“ წევრს „ასოციაციის“ წევრობა შეუწყდება:

13.1.1. ნებაყოფლობით, წევრის წერილობითი განცხადების საფუძველზე. თუკი განმცხადებელი არის იურიდიული პირი, მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის განცხადებას თან უნდა

ერთვოდეს იურიდიული პირის უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილება „ასოციაციის“ წევრობიდან გასვლის თაობაზე;

13.1.2. იმ შემთხვევაში, თუ წევრი ერთჯერადად 30 (ოცდაათი დღით) გადააცილებს საწევროს გადახდას ან ზედიზედ 2-ჯერ დაარღვევს საწევროს გადახდის დადგენილ წესს, იმ პირობით, რომ წევრობის შეწყვეტამდე „გამგეობის“ მიერ წინასწარი ღონისძიების სახით გამოყენებული იქნება გაფრთხილება;

13.1.3. ფიზიკური პირის გარდაცვალების ან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში;

13.1.4. ისეთი გარემოების წარმოშობის ან აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც შეუსაბამოა წევრის „ასოციაციაში“ წევრობასთან ან/და რომელიც გამოიწვევდა ამ წევრის „ასოციაციაში“ გაწევრიანებაზე უარის თქმას;

13.1.5. ისეთი საქმიანობის განხორციელებისას, რომელიც ეწინააღმდეგება „ასოციაციის“ მიზნებს;

13.1.6. წესდებითა და „ასოციაციის“ მიერ მიღებული აქტებით, გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული დებულებების/ნორმატიული აქტების პირობების, მოთხოვნების უხეშად დარღვევის შემთხვევაში;

13.1.7. ისეთი ქმედების განხორციელებისას, რომელიც ლახავს ან სერიოზულ საფრთხეს უქმნის „ასოციაციის“ რეპუტაციასა ან/და ავტორიტეტს, ზიანს აყენებს ან ქმნის „ასოციაციის“ ქონებისადმი ზიანის მიყენების სერიოზულ საფრთხეს;

13.1.8. არასაპატიო მიზეზით „საერთო კრებაში“, „ასოციაციის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის სისტემატურად თავის არიდების შემთხვევაში, რაც აფერხებს „ასოციაციის“ მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს;

13.1.9. სრული (ხმის უფლების) მქონე წევრის შემთხვევაში აგრეთვე გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ავტორიზაციის შეწყვეტის, ან „ასოციაციის“ „ეთიკის კომისიის“ მიერ დისციპლინური სახდელის სახით წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში;

13.2. წინამდებარე წესდების 8.1.2., 8.1.4., 8.1.5., 8.1.6., 8.1.7. და 8.1.8. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაწყვეტილება „ასოციაციის“ წევრობის შეწყვეტის შესახებ მიიღება „გამგეობის“ წევრთა ნახევარზე მეტი ხმით, იმ წევრის ხმის გამოკლებით (თუკი წევრობის შეწყვეტის საკითხი ეხება გამგეობის წევრს), რომლის წევრობის შეწყვეტის საკითხიც განიხილება, ხოლო 8.1.1. და 8.1.3. პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევები „გამგეობის“ მიერ მიიღება ცნობად ან განცხადებად. 8.1.9. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში „ასოციაციის“ წევრობა წყდება ავტომატურად 8.1.9 გათვალისწინებული გარემოების დადგომისთანავე.

13.3. „ასოციაციის“ წევრობის შეწყვეტის შესახებ ეცნობება წევრს ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, გარდა წინამდებარე წესდების 8.1.1. და 8.1.3. პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.4. „ასოციაციის“ წევრობის შეწყვეტის შესახებ „გამგეობის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან და წევრი კარგავს „ასოციაციის“ წევრობის სტატუსს.

თავი III. მართვის ორგანოები

მუხლი 9. მართვის ორგანოები

14.1. „ასოციაციის“ მართვის ორგანოებია „საერთო კრება“ და „გამგეობა“.

მუხლი 10. საერთო კრება

15.1. „ასოციაციის“ მართვის უმაღლესი ორგანოა „საერთო კრება“. „საერთო კრება“ იმართება წელიწადში ერთხელ მაინც და იგი მოიწვევა „თავმჯდომარის“ მიერ თავმჯდომარის მიერ „გამგეობის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

15.2. „საერთო კრება“ უფლებამოსილია, თუკი მას ესწრება ყველა ხმის უფლების მქონე წევრთა ერთი მესამედი. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში, განმეორებითი „საერთო კრება“ იმავე დღის წესრიგით მოიწვევა 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში. განმეორებითი „საერთო კრება“ უფლებამოსილია დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

15.3. ხმის უფლების მქონე წევრი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს მინდობილი პირის მიერ, რომელიც მოქმედებს წევრის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული წერილობითი მინდობილობის საფუძველზე (რა შემთხვევაშიც, წარმოდგენილ უნდა იქნას აღნიშნული მინდობილობა).

15.4. რიგგარეშე „საერთო კრების“ მოწვევის მოთხოვნისა და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის მოთხოვნის უფლება აქვს „თავმჯდომარეს“ „გამგეობის“ წევრთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ან „აღმასრულებელი დირექტორს“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

15.5. „საერთო კრების“ დღის წესრიგის შემუშავებასა და „ასოციაციის“ ხმის უფლების მქონე წევრებისათვის გასაცნობად წარდგენას უზრუნველყოფს „თავმჯდომარე“. „თავმჯდომარე“ ასევე უზრუნველყოფს ხმის უფლების მქონე წევრების მიერ მოთხოვნილი რიგგარეშე საერთო კრების მოწვევას და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანას. „თავმჯდომარის“ მიერ წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ამ ვალდებულებების შესრულების უფლებამოსილება ენიჭება „გამგეობის“ მიერ სპეციალურად დანიშნულ პირს.

15.6. „საერთო კრება“ ტარდება „საერთო კრების“ მოწვევის შესახებ განცხადებისა და დღის წესრიგის ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნით, ამასთან განცხადება გამოქვეყნდება ბეჭდვით ორგანოში ან/და „ასოციაციის“ ვებ-გვერდზე კრებამდე 14 (თოთხმეტი) დღით ადრე.

15.7. დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით სარგებლობა ხმის უფლების მქონე წევრებს შეუძლიათ დღის წესრიგის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღისა.

15.8. წინამდებარე წესდების 10.7. პუნქტით დადგენილი დღის წესრიგის ცვლილების/ცვლილებების მოთხოვნის უფლების განხორციელების შემთხვევაში, დღის წესრიგში ცვლილებების გამოქვეყნება წარმოებს არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა.

15.9. „საერთო კრებას“ უძღვება „თავმჯდომარე“. „თავმჯდომარის“ მიერ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, „საერთო კრებას“ თავმჯდომარეობს „გამგეობის“ მიერ სპეციალურად დანიშნული პირი, რაზეც დგება შესაბამისი გადაწყვეტილება.

15.10. „საერთო კრების“ მსვლელობისა და გადაწყვეტილებების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს „თავმჯდომარე“.

15.11. „საერთო კრება“ იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

15.11.1. „ასოციაციის“ წესდებაში/სარეგისტრაციო განაცხადში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

15.11.2. „გამგეობის“ წევრების არჩევა და გათავისუფლება;

15.11.3. „ასოციაციის“ პირველადი რეგისტრაციის მიზნებისათვის, თანამდებობაზე „ასოციაციის“ „თავმჯდომარის“ დანიშვნა, ხოლო აღნიშნული რეგისტრაციის წარმატებით განხორციელების შემდეგ, დასახელებული უფლებამოსილება ენიჭება „გამგეობას“.

15.11.4.საწევრო შენატანების ოდენობისა და გადახდის პირობების დამტკიცება;

15.11.5.„ასოციაციის“ რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება.

15.12. „საერთო კრებაზე“ ასევე ხორციელდება „თავმჯდომარის“ ანგარიშების მოსმენა გაწეული საქმიანობის შესახებ.

15.13. „საერთო კრების“ მიერ გადაწყვეტილებებს მისაღებად საჭიროა დამსწრე წევრითა ნახევარზე მეტის ხმა.

15.14. კენჭისყრა „საერთო კრებაზე“ არის ღია.

15.15. 10.14. პუნქტით განსაზღვრულის მიუხედავად, „საერთო კრება“ უფლებამოსილია, მიიღოს ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილება ფარული კენჭისყრით. ფარულ კენჭისყრაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 11. გამგეობა

16.1. „ასოციაციის“ საქმიანობის მართვის ორგანოა „გამგეობა“, რომელიც შედგება 7 წევრისგან. „გამგეობის“ წევრები 3 (სამი) წლის ვადით ინიშნებიან „ასოციაციის“ „საერთო კრების“ მიერ. „გამგეობის“ წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ „ასოციაციის“ ხმის უფლების მქონე წევრი. „გამგეობის“ წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ახალი წევრის არჩევამდე. „თავმჯდომარე“ არის „გამგეობის“ წევრი. „გამგეობის“ წევრები მათი უფლებამოსილების განხორციელებისთვის „ასოციაციის“ სახსრებიდან ანაზღაურებას არ იღებენ.

16.2. „გამგეობის“ წევრთა რაოდენობა შესაძლოა გაიზარდოს „საერთო კრების“ მიერ ასოციაციის წევრების ზრდასთან დაკავშირებით.

16.3. „გამგეობის“ წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომელთა დანიშვნის შესახებაც გადაწყვეტილება მიღებული იქნა „საერთო კრების“ მიერ (არჩევნების პრინციპი). გამგეობის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემტხვევაში, ტარდება განმეორებითი ენჭისყრა. განმეორებით კენჭისყრაზე გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენის შეუძლებლობის შემთხვევაში მოიწვევა განმეორებითი საერთო კრება.

16.4. „გამგეობის“ სხდომა ტარდება მინიმუმ თვეში ერთხელ. „გამგეობის“ სხდომა მოიწვევა „თავმჯდომარის“ მიერ. „გამგეობის“ წევრებს ეცნობებათ სხდომის მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ სხდომამდე არაუგვიანეს 2 (ორი) დღისა, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ „გამგეობის“ სხდომის ჩატარებასა და „გამგეობის“ მიერ გადაწყვეტილების მიღებას დაუყოვნებლივ საჭიროებს „ასოციაციის“ ინტერესები, სხდომამდე 1 (ერთი) დღით ადრე.

16.5. „გამგეობა“ იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

16.5.1. „ასოციაციაში“ ხმის უფლების მქონე წევრის გაწევრიანება ან გაწევრიანებაზე უარის თქმა;

16.5.2. „ასოციაციაში“ მრჩეველი წევრის გაწევრიანება ან გაწევრიანებაზე უარის თქმა;

16.5.3. „ასოციაციაში“ წევრობის შეწყვეტა;

16.5.4. „თავმჯდომარის“, „აღმასრულებელი დირექტორის“ დანიშვნა, ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტა და ანაზღაურების განსაზღვრა;

16.5.5. „ასოციაციის“ შინაგანაწესის, დებულებებისა და სხვა შიდა ნორმატიული აქტების დამტკიცება;

16.5.6. „ასოციაციის“ აპარატის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცება, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრა;

16.5.7. „მუდმივმოქმედი“ ან დროებითი კომისიების, კომიტეტების, ჯგუფების შექმნა, მათი შემადგენლობებისა და უფლებამოსილებების განსაზღვრა;

16.5.8. „საერთო კრების“ მოწვევა;

16.5.9. „ასოციაციის“ წესდების/წესდებაში (სარეგისტრაციო განაცხადში) ცვლილებების პროექტის შემუშავება და „საერთო კრებაზე“ წარდგენა დასამტკიცებლად;

16.5.10. „ასოციაციის“ ემბლემის, სიმბოლიკის შემუშავება და დამტკიცება, „ასოციაციის“ საქმიანობის დაგეგმვა და განსახორციელებელი პოლიტიკის დადგენა;

16.5.11. „ასოციაციის“ მიერ ისეთი ქონების შეძენა, გასხვისება ან ვალდებულებით დატვირთვა, რომლის ღირებულება აღემატება „ასოციაციის“ წლიური ბიუჯეტის 10%-ს (ათი პროცენტი), ამასთან, „ასოციაციის“ მიერ სხვა ნებისმიერი ისეთი გარიგების გაფორმება, რომლის ღირებულება აღემატება „ასოციაციის“ წლიური ბიუჯეტის 10%-ს (ათი პროცენტი);

16.5.12. „ასოციაციის“ წევრებისათვის სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობის ორგანიზება;

16.5.13. გაწეული საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის შედგენა და „საერთო კრებაზე“ წარდგენა;

16.5.14. „ასოციაციის“ მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

16.5.15. საკანონმდებლო პროექტების შემუშავება, დამტკიცება და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის მიწოდება;

16.5.16. სხვადასხვა სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტის ან კონკრეტულ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნების მიწოდება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის;

16.5.17. „ასოციაციის“ ქონებრივი მდგომარეობის შესახებ წლიური ანგარიშების მომზადება და დამტკიცება;

11.5.17[1]. „ასოციაციის“ განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება;

16.5.18. სხვა ისეთ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც წინამდებარე წესდების შესაბამისად არ განეკუთვნება „ასოციაციის“ სხვა ორგანოთა კომპეტენციას.

16.6. „გამგეობა“ უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია „გამგეობის“ წევრთა უმრავლესობა. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში, „გამგეობის“ სხდომა მოიწვევა ხელმეორედ 1 (ერთი) კვირის ვადაში. განმეორებით სხდომაზე „გამგეობა“ უფლებამოსილია დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

16.7. „გამგეობა“ გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით, .

16.8. „გამგეობის“ სხდომა შეიძლება ჩატარდეს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ ან/და ტელეკომუნიკაციების საშუალებით. ამასთან, აუცილებლობის შემთხვევაში, „გამგეობის“ წევრებს სხდომამდე შეუძლიათ თავისი გადაწყვეტილება დააფიქსირონ წერილობით, ელექტრონული ფოსტით, ტელე-კონფერენციით ან უფლებამოსილი წარმომადგენლის საშუალებით.

16.9. „გამგეობის“ სხდომაზე კენჭისყრა ტარდება ღიად, გარდა წინამდებარე წესდების 11.5.1., 11.5.2., 11.5.3., 11.5.4. და 11.5.5. პუნქტებით გათვალისწინებული საკითხებისა.

16.10. „გამგეობის“ სხდომას ასევე შესაძლოა დაესწრონ „მრჩეველი წევრები“ „გამგეობის“ მიერ წინასწარ გაგზავნილი მოწვევის საფუძველზე.

16.11. „გამგეობის“ სხდომის მიმდინარეობასა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.

მუხლი 12. მრჩეველთა საბჭო

17.1. „ასოციაციის“ მიზნების უკეთ განხორციელებისთვის „ასოციაციაში“ გაწევრიანებული საპატიო წევრები ერთობლივად ქმნიან მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“), რომელიც არის „ასოციაციის“ საკონსულტაციო ორგანო და შედგება ასოციაციაში გაწევრიანებული ყველა საპატიო წევრებისგან .

მუხლი 13. თავმჯდომარე

18.1. „თავმჯდომარეს“ ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით ირჩევს „გამგეობა“. „თავმჯდომარეს“ უფლებამოსილება უგრძელდება ახალი „თავმჯდომარის“ არჩევამდე.

18.2. „თავმჯდომარე“ ასრულებს „ასოციაციის“ ხელმძღვანელობით უფლებამოსილებებს და ერთპიროვნულად წარმოადგენს „ასოციაციას“ მესამე პირებთან ურთიერთობაში.

18.3. „თავმჯდომარე“:

18.3.1. უძღვება „ასოციაციის“ ყოველდღიურ საქმიანობას;

18.3.2. თავმჯდომარეობს „საერთო კრებას“ და „გამგეობის“ სხდომებს;

18.3.3. „ასოციაციის“ სახელით დებს ნებისმიერი სახის გარიგებას, ხოლო წინამდებარე წესდების 11.5.11. პუნქტით გათვალისწინებულ გარიგებებს დებს „გამგეობის“ გადაწყვეტილებების შესაბამისად, ისევე როგორც ხელს აწერს დოკუმენტაციას „ასოციაციის“ სახელით;

18.3.4. იწვევს „საერთო კრებას“, უზრუნველყოფს „საერთო კრების“ დღის წესრიგის შემუშავებას და „ასოციაციის“ წევრებისათვის გასაცნობად წარდგენას, ასევე უზრუნველყოფს რიგგარეშე „საერთო კრების“ მოწვევას და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანას;

18.3.5. „გამგეობის“ სხდომაზე წარსადგენად ამზადებს „ასოციაციის“ წევრად პირის მიღების და „ასოციაციის“ წევრობის შეწყვეტის საკითხებს, ისევე როგორც უზრუნველყოფს „ასოციაციის“ წევრთა შესახებ არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციასა და განახლებას;

18.3.6. უზრუნველყოფს „ასოციაციის“ ჟურნალის წარმოებას, „ასოციაციის“ მართვისა და კონტროლის ორგანოების მიერ მიღებული სხვადასხვა აქტებისა და გადაწყვეტილებების სისტემატიზაციას და აღრიცხვას;

18.3.7. აღასრულებს „გამგეობის“ და „საერთო კრების“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

18.3.8. შეიმუშავებს და „გამგეობას“ დასამტკიცებლად წარუდგენს „ასოციაციის“ აპარატის სტრუქტურას, საშტატო განრიგს, თანამდებობრივი სარგოების ოდენობას, შინაგანაწესს, დებულებას და სხვადასხვა სახის შიდა ნორმატიული აქტის პროექტებს;

18.3.9. „გამგეობის“ მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს „ასოციაციის“ თანამშრომლებს, ზედამხედველობას უწევს „ასოციაციის“ აპარატის თანამშრომელთა მუშაობას;

18.3.10. ყოველწლიურად შეიმუშავებს და „გამგეობას“ წარუდგენს „ასოციაციის“ საქმიანობის შესახებ ანგარიშს, ასევე ანგარიშს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ, ისევე როგორც წინადადებებს „ასოციაციის“ მიერ შემდგომში განსახორციელებელი თუ დასაგეგმი საქმიანობების თაობაზე;

18.3.11. დაუყოვნებლივ აცნობებს „გამგეობას“ იმ გარემოებათა შესახებ, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ „ასოციაციის“ მდგომარეობაზე.

18.4. ასოციაციის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, წინამდებარე წესდების 13.3.3, 13.3.5, 13.3.6, 13.3.7, 13.3.8, 13.3.9, 13.3.10, 13.3.11 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსულებების განხორციელება და ამავე მუხლის 13.3.4 პუნქტით დადგენილი საკითხების უზრუნველყოფა გამგეობის გადაწყვეტილებით

შეიძლება დაევალოს ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს (ასეთის არსებობის შემთხვევაში. გამგეობის მიერ, აღმსრულებელი დირექტორის არჩევის შემთხვევაში).

18.5. „თავმჯდომარეს“ ვადამდე შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება „გამგეობის“ გადაწყვეტილებით, მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანად შესრულების შემთხვევაში, მის მიერ უფლებამოსილების გადამეტებისა ან ისეთი ქმედების განხორციელებისას, რომელიც ზიანს აყენებს ან ქმნის „ასოციაციის“ საქმიანი რეპუტაციისა და ავტორიტეტისათვის ზიანის მიყენების სერიოზულ საფრთხეს.

მუხლი 14. აღმასრულებელი დირექტორი

14.1. ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით ასოციაციას შეიძლება ყავდეს აღმასრულებელი დირექტორი (შემდგომში „აღმასრულებელი დირექტორი“). აღმასრულებელ დირექტორს ფარული კენჭისყრით ირჩევს გამგეობა, რომლის უფლებამოსილების ვადას ასევე განსაზღვრავს გამგეობა. აღმასრულებელ დირექტორს უფლებამოსილება უგრძელდება ახალი დირექტორის არჩევამდე.

14.2. აღმასრულებელი დირექტორი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის ასოციაციის წევრი და რომელსაც მისი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესაბამისად შეუძლია განახორციელოს აღნიშნული თანამდებობისათვის გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

14.3. აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილებების განხორციელების პერიოდში აღმასრულებელი დირექტორი ასოციაციის სახსრებიდან იღებს ანაზღაურებას, რომლის ოდენობაც და გადახდის პირობებიც განისაზღვრება გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

14.4. აღმასრულებელი დირექტორი, მისი არჩევის შემთხვევაში, ახორციელებს ასოციაციის ყოველდღიურ, მიმდინარე მართვას და ანგარიშვალდებულია ასოციაციის თავმჯდომარისა და გამგეობის წინაშე.

14.5. აღმასრულებელი დირექტორი ასოციაციის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს წინამდებარე წესდების წესდების 13.3.3, 13.3.5, 13.3.6, 13.3.7, 13.3.8, 13.3.9, 13.3.10, 13.3.11 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს და უზრუნველყოფს ამავე მუხლის 13.3.4 პუნქტით დადგენილი საკითხების განხორციელებას.

14.6. აღმასრულებელ დირექტორს ვადამდე შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება გამგეობის გადაწყვეტილების შესაბამისად აღმასრულებელი დირექტორის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მის მიერ უფლებამოსილების გადამეტებისა ან ისეთი ქმედების განხორციელებისას, რომელიც ზიანს აყენებს ან ქმნის ასოციაციის საქმიანი რეპუტაციისა და ავტორიტეტისათვის ზიანის მიყენების სერიოზულ საფრთხეს.

თავი IV. ქონება

მუხლი 15. შემოსავლის წყაროები

15.1. „ასოციაციის“ შემოსავლის წყაროებია:

15.1.1. „ასოციაციის“ წევრთა საწევრო შენატანები;

15.1.2. გრანტით მიღებული სახსრები და ქონება;

15.1.3. შემოწირულობები;

15.1.4. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

15.2. წლიური საწევრო შენატანი შეადგენს 250 ლარს. 1 იანვრიდან 1 ივლისამდე გაწევრიანებული წევრები იხდიან სრულ საწევრო გადასახადს (250 ლარს), ხოლო 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გაწევრიანებული წევრები გადაიხდიან საწევროს ნახევარს (125 ლარს).

15.3. დაუშვებელია „ასოციაციის“ ქონების განაწილება მის წევრებს შორის.

15.4. ქონება, რომელიც შეძენილია „ასოციაციის“ მიერ მისი საქმიანობის პროცესში წარმოადგენს „ასოციაციის“ საკუთრებას. „ასოციაცია“ ფლობს, სარგებლობს და განკარგავს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას საკუთარი შეხედულებისამებრ, წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და საქმიანობის შესაბამისად, საქველმოქმედო მიზნებიდან გამომდინარე, ან მისი ორგანიზაციული განვითარების ხელშესაწყობად.

თავი IV. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 16. რეორგანიზაცია

16.1. „ასოციაციის“ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა, დაყოფა და გაერთიანება (შერწყმა) წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17. ლიკვიდაცია

17.1. „ასოციაციის“ ლიკვიდაცია ხდება „საერთო კრების“ გადაწყვეტილების საფუძველზე ან შემდეგ შემთხვევებში:

17.1.1. გადახდისუუნარობის შემთხვევაში ან თუ შეუძლებელი გახდება წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნების მიღწევა;
17.1.2. თუ „ასოციაციის“ მთავარ საქმიანობად იქცევა სამეწარმეო საქმიანობა;
17.1.3. თუ მიღწეულ იქნა „ასოციაციის“ მიზნები;
17.1.4. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

17.2. „ასოციაციის“ ლიკვიდაციას ახორციელებს „თავმჯდომარე“ ან „საერთო კრების“ მიერ დანიშნული ლიკვიდატორი.

17.3. ლიკვიდაციის პროცესისას შეჩერებულ უნდა იქნეს ყველა მიმდინარე ოპერაცია, დადგინდეს სავარაუდო მოთხოვნები, ხელმისაწვდომი ქონება ნაღდ ფულად უნდა იქცეს და დაკმაყოფილდეს კრედიტორთა მოთხოვნები. ამის შემდგომ, დაუშვებელია დარჩენილი ქონების გადაცემა წევრებისათვის და შესაბამისად, აღნიშნული ქონება გადაეცემა შემდგომ ორგანიზაციებს:

17.3.1. ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ მსგავს საქმიანობას;
17.3.2. საქველმოქმედო ორგანიზაციებს;
17.3.3. საქართველოს სახელმწიფოს.

17.4. ინფორმაცია „ასოციაციის“ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდით ორგანოში.

თავი IV. გარდამავალი დებულებები

მუხლი 18. ცვლილებები და დამატებები

18.1.წინამდებარე წესდებაში ნებისმიერი ცვლილებისა და დამატების შეტანა დაიშვება „საერთო კრების“ გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული თანმდევი პროცედურის გათვალისწინებით.

მუხლი 19. დავების გადაწყვეტა

19.1.„ასოციაციასთან“ დაკავშირებული ყველა დავა წყდება „საერთო კრების“ მიერ, თუ ორივე მხარე თანახმაა. სხვა შემთხვევაში, დავა გადაეცემა საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

მუხლი 20. დასკვნითი პირობები

20.1.წინამდებარე წესდება ძალაში „საერთო კრების“ მიერ მისი დადგენილი წესით დამტკიცებისთანავე;

20.2.„ასოციაციის“ სრული (ხმის უფლების მქონე) წევრები, რომელთაც ასეთი სტატუსი გააჩნდათ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 30 მარტის N696 ბრძანების ამოქმედებამდე, წინამდებარე წესდების ცვლილებების დამტკიცებიდან 24 თვის განმავლობაში ინარჩუნებენ სრული წევრის სტატუს, იმ პირობით, რომ აღნიშნული ვადის გასვლამდე „გამგეობას“ წარუდგენენ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ავტორიზაციის დამადასტურებელ დოკუმენტს. თუ სრული (ხმის უფლების მქონე) წევრი დადგენილ ვადაში არ წარადგენს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ავტორიზაციის დამდასტურებელ დოკუმენტს, მას შეუწყდება სრული წევრის სტატუსი, თუმცა დაინტერესების შემთხვევაში უფლებამოსილია „ასოციაციაში“ საქმიანობა გააგრძელოს ასოცირებული წევრის სტატუსით.

20.3.იმ წევრებს, რომელბიც წინამდებარე წესდების დამტკიცების დროისათვის იყვნენ ასოციაციაში გაწევრიანებული მრჩეველი წევრის სტატუსით, ავტომატურად მიენიჭებათ ასოცირებული წევრის სტატუსი. ასეთ წევრებს გაეგზავნებათ შეტყობინება მათი სტატუსის ცვლილების თაობაზე და თუ შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში არ განაცხადებენ ასოციაციიდან გასვლის შესახებ, მათ წარმოეშობათ სტატუსის შესაბამისი საწევროს გადახდის ვალდებულება.

20.4.თუ წინამდებარე წესდების რომელიმე დებულება გაბათილდება ან შეუსრულებადი გახდება, აღნიშნული გავლენას არ მოახდენს მთლიანად წესდების ან მისი სხვა ნორმების ნამდვილობაზე/შესრულებადობაზე. ბათილი/შეუსრულებადი დებულება შეიცვლება ისეთი ნორმით, რომელიც „ასოციაციას“ შესაძლებლობას მიცემს განახორციელოს თავისი მიზნები.

20.5. წინამდებარე წესდება შედგენილია ქართულ ენაზე რამდენიმე აუთენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ორიგინალს.

დამფუძნებელი წევრები:

ირაკლი გაფრინდაშვილი

გიორგი ბათლიძე

ნოდარ პაპუკაშვილი

ქეთევან ბუაძე

გიორგი ზედელაშვილი

აკაკი ჩარგეიშვილი

აკაკი გაწერელია

ლაშა ნოდია

თამთა ივანიშვილი

ნანა მჟავანაძე

ქეთევან ბაშინურიძე

თინათინ შუღაროვა

ნანა ამისულაშვილი

თორნიკე ართქმელაძე

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია